მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი



შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე ხაზოვანი ნაგებობები დატანილია რეგისტრირებული მონაცემებიდან

პირობითი აღნიშვნები	შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებთან			პროექცია UTM 38N საკოორდინატო სისტემა WGS 84
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე
კანალიზაცია	შენობა	ვაზი	ხეების რიგი	ბორდიური
დენის კაბელი	არკა	გაზონი	ტრანსფორმატორი	ბეტონი
გაზის მილი	ფარდული	სამეთვალყურეო ჭები	რადიო ან ტელე ანძა	კედელი
წყლის მილი	კიბე	ძეგლი	ლამპიონები	საყრდენი კედელი
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	შადრევანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი
	წიწვოვანი ხე	ონკანი	რკინიგზა	გზის კონტური
	ხეხილის ხე	წყარო ან ჭა	იზოჰიფსი	ფლატე
	პალმა	ბენზინგასამართი სადგური	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური
		მაღალი ძაბვის გადამცემი		

ი/მ „ზვიადი წიკლაური„
ს/ნ 01027016042
თბილისი,
აწყურის ქუჩა №30
+995 514-44-11-41
Email: zviadiw@gmail.com

აზომა		ზ. წიკლაური
კომპ. უზრუნველყოფა		ზ. წიკლაური
მისამართი	ქალაქი თბილისი, ქუჩა ძოწის №2 ს.კ. 01.14.01.008.097	
	მაშტაბი 1:500	28.03.2022

დოკ. №: 2204-643

თარიღი: 21.03.2022

DEMASO WOOD

დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი

გადაირგვება ერთი (იმავე) მიწის ნაკვეთის ფარგლებში

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, ქუჩა ძოწის, N2	*01.14.01.008.097*	*შპს "ჰორვატს"*	*4179 მ²*

გადასარგავ დიდტანიან (d > 25 სმ) მცენარეთა რაოდენობა: ***5***

დამკვეთი:

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
გადასარგავი მცენარეები	*1*
ნიადაგის მომზადება გადასარგავად	*1*
ხე-მცენარის ამოღება	*2*
ხე–მცენარის გადარგვა	*2*
გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა	*3*

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ქ. თბილისში, ძოწის ქუჩის N2 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობის პროექტის ფარგლებში 5 ძირი დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე) ხე-მცენარის გადარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის სამუშაოების ჩატარების მეთოდური მითითებები და დასაცავი პირობები.

აღნიშნული 5 ძირი დიდტანიანი ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 21.04.2022 №2204-523 საექსპერტო დასკვნით.

მცენარეები გადაირგვება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, სადაც ისინი ამჟამად მდებარეობენ (ს/კ 01.14.01.008.097).

გადარგვის სამუშაოები ჩატარდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში.

გადასარგავი მცენარეები

ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მშენებლობის პროექტით იგეგმება 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე 5 ხე-მცენარის - 4 ძირი კანადური ვერხვის (Populus deltoides) და 1 ძირი შავი ფიჭვის (Pinus nigra) გადარგვა. მათი ზოგადი მახასიათებლები გადასარგავი კომის ზომების ჩათვლით მოცემულია ცხრილ 1-ში.

აღნიშნულ ხეებს „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 21.04.2022 №2204-523 საექსპერტო დასკვნაში მინიჭებული აქვს შემდეგი ნომრები: კანადური ვერხვი №№ 1285, 1327, 1328, 1331; შავი ფიჭვი № 1335.

ცხრილი 1. გადასარგავი ხეების ნუსხა, მათი ტაქსაციური მაჩვენებლები და კომის ზომები.

რიგ. №	ხის №	სახეობა	კომის სიგანე (სმ)	ღეროს ⌀ (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	შენიშვნა
				10 სმ	1.3 მ		
1	1285	ვერხვი (Populus deltoides)	399	57	29	12.5	მრავალღეროიანი
2	1327	ვერხვი (Populus deltoides)	357	51	37	10.5	-
3	1328	ვერხვი (Populus deltoides)	196	28	23.9	9.5	ორკაპი
4	1331	ვერხვი (Populus deltoides)	224	32	28	9.5	-
5	1335	ფიჭვი (Pinus nigra)	223	32	25.5	7.0	-

ნიადაგის მომზადება გადასარგავად

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ასევე უნდა მოხდეს დასარგავი ადგილის განთავისუფლება სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით.

ხე-მცენარის ამოღება

1. გადასარგავი ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს: დიამეტრი - ფესვის ყელთან არსებული ღეროს დიამეტრის არანაკლებ შვიდმაგი ოდენობით (იხ. ცხრილი 1), სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-მდე.

2. კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა.
3. ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება.
4. ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.).
5. მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან. შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან.
6. საჭიროების შემთხვევაში, ხე-მცენარეებზე ხორცილედება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

ხე–მცენარის გადარგვა

1. გადარგვის დანიშნულების წერტილი უნდა იყოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.
2. გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს გადასარგავი ორმო:
   - რომელსაც გადასარგავი კომის ზომებთან შედარებით სასურველია ჰქონდეს 0.5-0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე;
   - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
   - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
   - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი).
3. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით.
4. ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით ისე, რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს.
5. ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან.
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
8. ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
9. ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში.
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება.
4. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ.
5. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით.
6. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად.
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.
9. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (პ/ნ 01008013049)

დოკ. № 2204-582
თარიღი: 21.04.2022

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

გამწვანების პროექტი



მისამართი: თბილისი, ძოწის ქუჩა N2 **ს/კ:** 01.14.01.008.097 **მესაკუთრე:** შპს “ჰორვატს”

ფართობი: 4179 მ^2 **დადგენილი კ-3 კოფიციენტი:** 0.3 **საპროექტო გამწვანება:** 1929.3 მ^2 (კ-3 = 0.5)

ადგილზე არსებული ცალკე მდგომი მერქნიანი მცენარეები და მცენარეთა ჯგუფები: 64. *მათ შორის:*

	ხილკენკროვნები	ბუჩქები	სხვა ხეები
ჯანსაღი ადგილზე შესანარჩუნებელი	-	12	10
ჯანსაღი გადასარგავი	-	-	16
ჯანსაღი მოსაჭრელი	5	20	-
არაჯანსაღი მოსაჭრელი	-	-	1

დასარგავი ნერგების რაოდენობა: 19 (10 დიდი ვარჯის მქონე ხე, 9 ბუჩქი)

მცენარეთა მოვლა-პატრონობის ხანრგძლივობა: 3 წელი

მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: შპს “ჰორვატს”

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: 2025 წ.

დამკვეთი: *შპს “ჰორვატს”*

შემსრულებელი: *შპს “დემასო ვუდ” - ლ. გოშაძე გ. ჩართოლანი ე. შარია*

საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი მცენარეები და მათი განკარგვა
მ 1:500

ფორმატი A3

ჯანსღი, ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები* - 22

ცხრილი №1

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
1295-1300, 1307 1309, 1316-1317	ძეძვი (Paliurus spina-christi)	10
1318	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	1
1301, 1340	იფანი (Fraxinus excelsior)	2
1338	ვერხვი (Populus alba)	1
1333, 1341	ვერხვი (Populus deltoides)	2
1339	იალღუნი (Tamarix ramosissima) ფორმა - ხე	1
1332	კაკლის ხე (Juglans regia)	1
1293-1294 1319, 1342	თელა (Ulmus minor)	4

გადასარგავი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები* - 16

ცხრილი №2

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
1279, 1282, 1292	იფანი (Fraxinus excelsior)	3
1281	კელრეუტერია (Koelreuteria paniculata)	1
1285-1286 1304, 1327-1331	ვერხვი (Populus deltoides)	8
1335	ფიჭვი (Pinus nigra)	1
1325	აკაკი (Celtis caucasica)	1
1280, 1288	თელა (Ulmus minor)	2

ჯანსაღი, მოსაჭრელი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები* სამშენებლო არეალში - 25

ცხრილი №3

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
1306	ნუში (Prunus amygdalus)	1
1323, 1337	ალუბალი (Prunus cerasus	2
1334	ბალამწარა (Prunus cerasus)	1
1315	ბროწეული (Punica granatum)	1
1289-1291, 1308 1310-1314 1320-1322 1324, 1326, 1336	ძეძვი (Paliurus spina-christi)	15
1284, 1287, 1302-1303, 1305	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	5

არაჯანსაღი მცენარეები სამშენებლო არეალში - 1 (იგეგმება მოჭრა)

ცხრილი №4

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
1283	ვერხვი (Populus deltoides)	1

***მცენარეთა ჯგუფი** - ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მოზარდ ინდივიდთა ერთიანი ამონაყარი, რომელსაც ერთი ნომერი აქვს მინიჭებული და ნახაზებზე ერთ წერტილად არის დატანილი.



შენიშვნები:

- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია შპს "დემასო ვუდის" N2204-523 საექსპერტო დასკვნიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: შპს "ჰორვატს"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

მცენარეთა საპროექტო განლაგება
შესანარჩუნებელი, გადასარგავი და დასარგავი მცენარეები

ფორმატი A3

ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები - 22

ცხრილი №5

პირობითი აღნიშვნა	№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან 10 სმ-ზე	რაოდ.
ბუჩქები				
	1295-1300 1307, 1309 1316-1317	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4	10
	1318	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4	1
დიდი ვარჯის მქონე ხეები				
	1301	იფანი (Fraxinus excelsior)	4-8	1
	1340	იფანი (Fraxinus excelsior)	12-16	1
	1338	ვერხვი (Populus alba)	60-64	1
	1333	ვერხვი (Populus deltoides)	0-4	1
	1341	ვერხვი (Populus deltoides)	56-60	1
	1339	იალღუნი (Tamarix ramosissima) ფორმა - ხე	20-24	1
	1332	კაკლის ხე (Juglans regia)	16-20	1
	1293-1294	თელა (Ulmus minor)	0-4	2
	1319	თელა (Ulmus minor)	24-28	1
	1342	თელა (Ulmus minor)	40-44	1

გადასარგავი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები* - 16

ცხრილი №6

პირობითი აღნიშვნა	№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან 10 სმ-ზე	რაოდ.
დიდი ვარჯის მქონე ხეები				
	1282, 1292	იფანი (Fraxinus excelsior)	0-4	2
	1279	იფანი (Fraxinus excelsior)	8-12	1
	1281	კელრეუტერია (Koelreuteria paniculata)	4-8	1
	1286	ვერხვი (Populus deltoides)	16-20	1
	1304 1329-1330	ვერხვი (Populus deltoides)	20-24	3
	1328, 1331	ვერხვი (Populus deltoides)	28-32	2
	1327	ვერხვი (Populus deltoides)	48-52	1
	1285	ვერხვი (Populus deltoides)	56-60	1
	1335	ფიჭვი (Pinus nigra)	28-32	1
	1325	აკაკი (Celtis caucasica)	12-16	1
	1288	თელა (Ulmus minor)	0-4	1
	1280	თელა (Ulmus minor)	4-8	1

***მცენარეთა ჯგუფი** - ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მოზარდ ინდივიდთა ერთიანი ამონაყარი, რომელსაც ერთი ნომერი აქვს მინიჭებული და ნახაზებზე ერთ წერტილად არის დატანილი.

დასარგავი მცენარეები - 19 (10 დიდი ვარჯის მქონე ხე, 9 ბუჩქი)

ცხრილი №7

მცენარის დასახელება და პირობითი აღნიშვნა	რაოდ.	ღეროს მინ. გარშემოწე-რილობა (სმ)	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები	დასურათება
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	6	20-22	5	3	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	
ცაცხვი (Tilia)	1	20-22	5	3.5	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი	
ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum)	2	20-22	5	3.5	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	
მაგნოლია (Magnolia grandiflora)	1	20-22	5	3.5	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	
მარადმწვანე ძახველი (Viburnum tinus) ფორმა - ბუჩქი	7	4	2	0.8	ყინვაგამძლე ჩრდილის ამტანი	
ცხრატყავა (Lonicera)	2	4	2	0.8	სწრაფად მზარდი ჩრდილის ამტანი	

საპროექტო გეგმა
1:500



შენიშვნები:

- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია შპს "დემასო ვუდის" №2204-523 საექსპერტო დასკვნიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა



დამკვეთი: შპს "ჰორვატს"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

აქსონომეტრიული ხედი



დამკვეთი: შპს "ჰორვატს"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

აქსონომეტრიული ხედები









გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

გამწვანების ფართობი: 1929.3 მ² (კ-3 = 0.5)

დასახელება	რაოდენობა	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	ღეროს მინ. გარშემოწერილობა (სმ)
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	6	5	3	20-22
ცაცხვი (Tilia)	1	5	3.5	20-22
ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum)	1	5	3.5	20-22
მაგნოლია (Magnolia grandiflora)	1	5	3.5	20-22
მარადმწ. ძახველი (Viburnum tinus)	7	2	0.8	4
ცხრატყავა (Lonicera)	2	2	0.8	4



<u>ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები - 22</u>

- 10 ძეძვი (Paliurus spina-christi)
- 1 გრაკლა (Spiraea hypericifolia)
- 2 იფანი (Fraxinus excelsior)
- 2 ვერხვი (Populus deltoides)
- 1 ვერხვი (Populus alba)
- 1 იალღუნი (Tamarix ramosissima)
- 1 კაკლის ხე (Juglans regia)
- 4 თელა (Ulmus minor)

<u>ამავე ტერიტორიაზე გადასარგავი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები - 16</u>

- 3 იფანი (Fraxinus excelsior)
- 1 კელრეუტერია (Koelreuteria paniculata)
- 8 ვერხვი (Populus deltoides)
- 1 ფიჭვი (Pinus nigra)
- 1 აკაკი (Celtis caucasica)
- 2 თელა (Ulmus minor)



საკადასტრო კოდი: 01.14.01.008.097

ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: დარგვიდან 3 წელი

ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი:
შპს "ჰორვატს"

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - 2022 წ.
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი - 2025 წ.

შპს დემასო ვუდ

ს/კ 405086419

№ 2204-703 21.04.2022

შპს “ჰორვატსს”

გაცნობებთ, რომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის შემდგომ, შპს „დემასო ვუდ“ მზადაა შპს “ჰორვატსის” საკუთრებაში არსებულ ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. თბილისი, ქუჩა ძოწის, N2) განახორციელოს 5 დიდტანიანი ხე-მცენარის (დიამეტრები – 57 სმ, 51 სმ, 28 სმ, 32 და 32 სმ) გადარგვა თანდართული გადარგვის პროექტის (დოკუმენტი № 2204-643) შესაბამისად.

პატივისცემით,

ემზარ შარია

დირექტორი

თბილისი, დ. არაყიშვილის ქ. № 14, ბინა 7 • App. 7, 14 D. Arakishvili Street, Tbilisi, Georgia
✆ (+995) 593 18 18 70 • ✉ demasowood@gmail.com

დაგეგმილი მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე მცენარეთა განკარგვის გეგმა

განმარტებები:

- "საპროექტო ტერიტორია" - ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთი.
- "სამშენებლო არეალში" იგულისხმება საპროექტო მშენებლობით მოცული ტერიტორია და აგრეთვე, საპროექტო ნაგებობათა საძირკვლის გარშემო 1.5 მეტრიანი ბუფერი ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობების განხილვისას და 3 მეტრიანი ბუფერი ხე-მცენარეების განხილვისას.
- მცენარეთა რაოდენობები მოცემულია ერთეულების (მცენარეთათვის მინიჭებული ნომრების) რაოდეობის სახით (შპს "დემასო ვუდის" № 2204-523 დასკვნის მიხედვით). თითოეული ერთეული წარმოადგენს ან ცალკე მოზარდ მცენარეს, ან ერთმანეთისგან 1 მეტრის რადიუსში მოზარდ ერთიდაიგივე სახეობის მცენარეთა ერთიან ამონაყარს და შეესაბამება ტოპოგეგმაზე დატანილ ერთ წერტილს. თითოეულ ერთეულს მინიჭებული აქვს უნიკალური ნომერი, რომლითაც ის მოიხსენიება საპროექტო ტერიტორიასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში და ნახაზებზე.
- ქვემოთ, "ბუჩქები" და "ხეები" არ მოიცავს ხილკენკროვან მცენარეებს.

ცხრილი 1. საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილი მცენარეთა კატეგორიები და მათი ზოგადი განკარგვის ფორმები - მშენებლობის პროექტის ფარგლებში, მცენარეთა ჭრისა და გადარგვის ნებართვის გამცემ ორგანოებთან შესათანხმებლად.

მცენარეთა კატეგორია	განკარგვის ფორმა
1. სამშენებლო არეალს გარეთ - ყველა მცენარე - **22 ერთეული** NN 1293, 1294, 1295, 1296, 1297, 1298, 1299, 1300, 1301, 1307, 1309, 1316, 1317, 1318, 1319, 1332, 1333, 1338, 1339, 1340, 1341, 1342	არ მოითხოვება ჭრა ან გადარგვა
2. სამშენ. არეალში - არაჯანსაღი მცენარეები - **1** N 1283	იგეგმება მოჭრა
3. სამშენ. არეალში - ჯანსაღი ხილკენკროვნები - **5** NN 1306, 1315, 1323, 1334, 1337	იგეგმება მოჭრა
4. სამშენ. არეალში - მოსაჭრელი ჯანსაღი ბუჩქები - **20** NN 1284, 1287, 1289, 1290, 1291, 1302, 1303, 1305, 1308, 1310, 1311, 1312, 1313, 1314, 1320, 1321, 1322, 1324, 1326, 1336	იგეგმება მოჭრა
5. სამშენ. არეალში - გადასარგავი ჯანსაღი ხე-მცენარეები - **16** NN 1279, 1280, 1281, 1282, 1285, 1286, 1288, 1292, 1304, 1325, 1327, 1328, 1329, 1330, 1331, 1335	იგეგმება გადარგვა

ცხრილი 2. მცენარეთა განკარგვის დეტალური გეგმა.

1. სამშენებლო არეალს გარეთ - ყველა მცენარე

ერთეულების რაოდენობა: **22** | *ნომრები:* 1293 (3), 1294 (2), 1295, 1296, 1297, 1298, 1299 (3), 1300 (2), 1301, 1307 (2), 1309, 1316, 1317, 1318, 1319, 1332, 1333 (2), 1338, 1339, 1340, 1341, 1342

ფრჩხილებში: ნომრის ქვეშ ჯგუფად გაერთიანებულ მცენარეთა რაოდენობა

განკარგვა: **არ მოითხოვება ჭრა ან გადარგვა**

დეტალურად:

- 10 ძეძვი (Paliurus spina-christi) NN 1295, 1296, 1297, 1298, 1299 (3), 1300 (2), 1307 (2), 1309, 1316, 1317
- 1 გრაკლა (Spiraea hypericifolia) N 1318
- 2 იფანი (Fraxinus excelsior) NN 1301, 1340
- 1 თეთრი ვერხვი (Populus alba) N 1338
- 2 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1333 (2), 1341
- 1 იალღუნი (Tamarix ramosissima) N 1339
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 1332
- 4 თელა (Ulmus minor) NN 1293 (3), 1294 (2), 1319, 1342

2. სამშენებლო არეალში - არაჯანსაღი მცენარეები

ერთეულების რაოდენობა: **1** | *ნომრები:* 1283

განკარგვა: **იგეგმება მოჭრა**

დეტალურად:

- 1 კანადური ვერხვი (Populus deltoides) N 1283 (ზხ)

ზხ - ზეხმელი

3. სამშენებლო არეალში - ჯანსაღი ხილკენკროვნები

ერთეულების რაოდენობა: **5** | *ნომრები:* 1306, 1315, 1323, 1334, 1337

განკარგვა: **იგეგმება მოჭრა**

დეტალურად:

- 1 ნუში (Prunus amygdalus) N 1306
- 2 ალუბალი (Prunus cerasus) NN 1323, 1337
- 1 ბალამწარა (Prunus cerasus) N 1334
- 1 ბროწეული (Punica granatum) N 1315

4. სამშენებლო არეალში - ჯანსაღი ბუჩქები - მოსაჭრელი

ერთეულების რაოდენობა: **20** | *ნომრები:* 1284, 1287, 1289, 1290, 1291, 1302, 1303, 1305, 1308, 1310 (3), 1311 (3), 1312, 1313 (3), 1314 (3), 1320, 1321, 1322, 1324, 1326, 1336

ფრჩხილებში: ნომრის ქვეშ ჯგუფად გაერთიანებულ მცენარეთა რაოდენობა

განკარგვა: **იგეგმება მოჭრა**

დეტალურად:

- 15 ძეძვი (Paliurus spina-christi) NN 1289, 1290, 1291, 1308, 1310 (3), 1311 (3), 1312, 1313 (3), 1314 (3), 1320, 1321, 1322, 1324, 1326, 1336
- 5 გრაკლა (Spiraea hypericifolia) NN 1284, 1287, 1302, 1303, 1305

5. სამშენებლო არეალში - ჯანსაღი ხე-მცენარეები - გადასარგავი

ერთეულების რაოდენობა: **16** | *ნომრები:* 1279, 1280, 1281, 1282, 1285, 1286, 1288 (2), 1292, 1304, 1325, 1327, 1328, 1329, 1330, 1331, 1335

ფრჩხილებში: ნომრის ქვეშ ჯგუფად გაერთიანებულ მცენარეთა რაოდენობა

განკარგვა: **იგეგმება გადარგვა**

დეტალურად:

- 1 გრაკლა (Spiraea hypericifolia) N 1287
- 3 იფანი (Fraxinus excelsior) NN 1279, 1282, 1292
- 1 კელრეუტერია (Koelreuteria paniculata) N 1281
- 4 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1286, 1304, 1329, 1330
- 1 კავკასიური აკაკი (Celtis caucasica) N 1325
- 2 თელა (Ulmus minor) NN 1280, 1288 (2)
- 4 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1285, 1327, 1328, 1331
- 1 შავი ფიჭვი (Pinus nigra) N 1335

დოკ. №: 2204-523

თარიღი: 21.04.2022

DEMASO WOOD

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, ქუჩა ძოწის, N2	*01.14.01.008.097*	*შპს "ჰორვატს"*	*4179 მ²*

შეფასებული მცენარეები: ***64 ერთეული** **

რაოდენობები დეტალურად	*სულ*	*ხილკენკრ.*	*ბუჩქები*	*სხვა ხეები*
*ერთეულების * (ნომრების) რაოდენობა*	*64*	*5*	*30*	*29*
ინდივიდუალურად შეფასებული მცენარეები	*53*	*5*	*24*	*24*
ამონაყარის სახით შეფასებული ჯგუფები	*11*	*-*	*7*	*4*
ჯგუფების შემადგენელი მცენარეები	*28*	*-*	*19*	*9*
ინდ. შეფასებული + ჯგუფების შემადგენელი	*81*	*5*	*43*	*33*

*** ერთეული** - ინდივიდუალურად შეფასებული მცენარე ან ერთიანი ამონაყარის სახით შეფასებულ მცენარეთა ჯგუფი, რომელსაც, დოკუმენტაციაში მოსახსენიებლად, შეფასებისას მიენიჭა ერთი უნიკალური ნომერი.

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა	*2*
გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*3*
დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი	
დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია	

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, ძოწის ქუჩის N2 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე (შემდგომში, *“მიწის ნაკვეთი”*) არსებულ მერქნიან მცენარეთა ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

იგი მომზადებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 №17-55 დადგენილებისა და საქართველოს 01.12.2000 №594 კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 4179 მ^2.

თბილისის ფუნქციური ზონირების მიხედვით, ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6).

ჩატარებული სამუშაო

2022 წლის 2 მარტს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება.

შეფასებისას, მცენარეთა აღწერა მოხდა:
- ინდივიდუალურად (განცალკევებით), ან
- ჯგუფურად (ერთიანი ამონაყარის სახით).

ჯგუფურად აღიწერა ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს (ჯგუფის ცენტრიდან 1 მეტრის რადიუსში) მოზარდი, ერთიან ამონაყარად განხილული, ერთი და იგივე სახეობის, 4 სმ-მდე დიამეტრის მცენარეები.

შეფასებისას, განცალკევებით აღწერილ **თითოეულ ინდივიდს და** ასევე, ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილ მცენარეთა **თითოეულ ჯგუფს მიენიჭა უნიკალური ნომერი**. თითოეული მცენარე ან ჯგუფი ამ ნომრით მოიხსენიება წინამდებარე დოკუმენტში და მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციასა და ნახაზებზე.

თითოეული უნიკალური ნომრის შესაბამისი მცენარე ან ჯგუფი წინამდებარე დოკუმენტში მოიხსენიება ***“ერთეულად”*** და მცენარეთა რაოდენობები ძირითადად ამ ერთეულთა რაოდენობების სახით არის მოცემული.

მიწის ნაკვეთზე, სულ მოხდა **64 ერთეულის** შეფასება, რომელთაც მიენიჭა ნომრები **N1279-დან N1342-ის ჩათვლით** (N1-დან N1278-ის ჩათვლით მცენარეები დაინომრა ერთიანი შეფასების ფარგლებში მოქცეულ მიმდებარე ტერიტორიებზე).

თითოეული ერთეულისთვის (მცენარისთვის ან ჯგუფისთვის) აღებულ იქნა სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეულის დასურათება.

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1).

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით

შეფასებული **64 ერთეული** მოიცავს ინდივიდუალურად აღწერილ **53 მცენარეს** და ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილ **11 ჯგუფს**. ისინი სახეობებისა და ნომრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა):

- **5 ერთეული – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 1 ნუში (Prunus amygdalus) N 1306
  - 2 ალუბალი (Prunus cerasus) NN 1323, 1337
  - 1 ბალამწარა (Prunus cerasus) N 1334
  - 1 ბროწეული (Punica granatum) N 1315
- **31 ერთეული – ბუჩქოვანი სახეობები**
  - 25 ძეძვი (Paliurus spina-christi) NN 1289-1291, 1295-1298, 1299 (3), 1300 (2), 1307 (2), 1308-1309, 1310 (3), 1311 (3), 1312, 1313 (3), 1314 (3), 1316-1317, 1320-1322, 1324, 1326, 1336
  - 6 გრაკლა (Spiraea hypericifolia) NN 1284, 1287, 1302-1303, 1305, 1318
- **19 ერთეული (1 ზეხმელი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 5 იფანი (Fraxinus excelsior) NN 1279, 1282, 1292, 1301, 1340
  - 1 კელრეუტერია (Koelreuteria paniculata) N 1281
  - 1 თეთრი ვერხვი (Populus alba) N 1338
  - 12 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1283 (ზეხმელი), 1285, 1286, 1304, 1327, 1328, 1329, 1330, 1331, 1333 (2), 1341
  - 1 იალღუნი - ხე (Tamarix ramosissima) N 1339

- **1 ერთეული – დაბალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი**
  - 1 შავი ფიჭვი (Pinus nigra) N 1335
- **8 ერთეული – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 1 კავკასიური აკაკი (Celtis caucasica) N 1325
  - 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 1332
  - 6 თელა (Ulmus minor) NN 1280, 1288 (2), 1293 (3), 1294 (2), 1319, 1342

მათ შორის, **7 ერთეული წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს:**
  - 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 1332
  - 6 თელა (Ulmus minor) NN 1280, 1288 (2), 1293 (3), 1294 (2), 1319, 1342

ერთიანი ამონაყარის სახით აღიწერა შემდეგი 11 ერთეული (ნომრების შემდეგ, ფრჩხილებში წერია ჯგუფის შემადგენელი მცენარეების რაოდენობები)**:**
- 7 ძეძვი (Paliurus spina-christi) NN 1299 (3), 1300 (2), 1307 (2), 1310 (3), 1311 (3), 1313 (3), 1314 (3)
- 1 კანადური ვერხვი (Populus deltoides) N 1333 (2)
- 3 თელა (Ulmus minor) NN 1288 (2), 1293 (3), 1294 (2)

განცალკევებით აღწერილი ინდივიდებისა და ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების რაოდენობები სახეობებისა და სახეობათა ჯგუფების მიხედვით მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. რაოდენობები სახეობათა მიხედვით. *ერთეულების, ცალკე აღწერილი ინდივიდების, ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების და ჯგუფების შემადგენელი მცენარეების რაოდენობები.*

N	სახეობათა ჯგუფი / სახეობა	ერთეულების (ნომრების) რაოდენობა			ჯგუფებში შემავალი მცენარეები
		ყველა ერთეული	ცალკეული ინდივიდები	მცენარეთა ჯგუფები	
I.	*ხილკენკროვნები*	*5*	*5*	-	-
1	ნუში (Prunus amygdalus)	1	1	-	-
2	ალუბალი (Prunus cerasus)	2	2	-	-
3	ბალამწარა (Prunus cerasus)	1	1	-	-
4	ბროწეული (Punica granatum)	1	1	-	-
II.	*ბუჩქოვანი სახეობები*	*31*	*24*	*7*	*19*
5	ძეძვი (Paliurus spina-christi)	25	18	7	19
6	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	6	6	-	-
III.	*დაბალი ღირებ. ფოთლოვნები*	*19*	*18*	*1*	*2*
7	იფანი (Fraxinus excelsior)	5	5	-	-
8	კელრეუტერია (Koelreuteria paniculata)	1	1	-	-
9	თეთრი ვერხვი (Populus alba)	1	1	-	-
10	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	12	11	1	2
11	იალღუნი - ხე (Tamarix ramosissima)	1	1	-	-
IV.	*მაღალი ღირებ. წიწვოვანი*	*1*	*1*	-	-
12	შავი ფიჭვი (Pinus nigra)	1	1	-	-
V.	*მაღალი ღირებ. ფოთლოვნები*	*8*	*5*	*3*	*7*
13	კავკასიური აკაკი (Celtis caucasica)	1	1	-	-
14	კაკლის ხე (Juglans regia)	1	1	-	-
15	თელა (Ulmus minor)	6	3	3	7
	ჯამი	***64***	***53***	***11***	***28***

მცენარეთა მდგომარეობა

შეფასებული 64 ერთეულიდან 63 არის ჯანსაღი, ხოლო 1 კანადური ვერხვი (Populus deltoides) N1283 - ზეხმელი.

გადარგვის შესაძლებლობა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) შეიძლება დაექვემდებაროს 58 შეფასებული ერთეული.

გადარგვადი ერთეულების ნომრები (ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა): 1279-1282, 1284-1287, 1288 (2), 1289-1290, 1291-1292, 1293 (3), 1294 (2), 1295-1298, 1299 (3), 1300 (2), 1301-1305, 1307 (2), 1308-1309, 1310 (3), 1311 (3), 1312, 1313 (3), 1314 (3), 1316-1322, 1324-1332, 1333 (2), 1335-1336, 1338-1342.

მათგან, 49 ერთეულის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ ან ნაკლები, ხოლო 9 ერთეული წარმოადგენს დიდტანიან (ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი) მცენარეს.

25 სმ ან ნაკლები დიამეტრის გადარგვადი ერთეულების რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით (ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა)**:**

- 25 ძეძვი (Paliurus spina-christi) NN 1289-1291, 1295-1298, 1299 (3), 1300 (2), 1307 (2), 1308-1309, 1310 (3), 1311 (3), 1312, 1313 (3), 1314 (3), 1316-1317, 1320-1322, 1324, 1326, 1336;
- 6 გრაკლა (Spiraea hypericifolia) NN 1284, 1287, 1302-1303, 1305, 1318;
- 5 იფანი (Fraxinus excelsior) NN 1279, 1282, 1292, 1301, 1340;
- 1 კელრეუტერია (Koelreuteria paniculata) N 1281;
- 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1286, 1304, 1329-1330, 1333 (2);
- 1 იალღუნი - ხე (Tamarix ramosissima) N 1339;
- 1 კავკასიური აკაკი (Celtis caucasica) N 1325;
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 1332;
- 4 თელა (Ulmus minor) NN 1280, 1288 (2), 1293 (3), 1294 (2).

დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) გადარგვადი ერთეულების რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით:
- 1 თეთრი ვერხვი (Populus alba) N 1338;
- 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1285, 1327-1328, 1331, 1341;
- 1 შავი ფიჭვი (Pinus nigra) N 1335;
- 6 თელა (Ulmus minor) NN 1319, 1342.

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2022 წლის 3 მარტს, თბილისში, ძოწის ქუჩის N2 მისამართზე, შპს “ჰორვატსის” საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე, მცენარეების ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

მცენარეთა რაოდენობები გამოსახულია “ერთეულებში”. “ერთეულში” იგულისხმება ან განცალკევებით აღწერილი მცენარე ან ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს (ცენტრიდან 1 მეტრის რადიუსში) მოზარდ, ერთი და იგივე სახეობის ინდივიდთა ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფი. თითოეულ ერთეულს შეესაბამება შეფასებასას მისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი, რომლითაც იგი მოიხსენიება წინამდებარე დასკვნასა და სხვა დოკუმენტაციაში.

ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების ნომრებს, ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 64 ერთეულიდან 63 არის ჯანსაღი, 1 - ზეხმელი. მათ შორის:
- 5 ერთეული - ხილკენკროვნები (ყველა ჯანსაღი)
- 31 ერთეული - ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენლები (ყველა ჯანსაღი)
- 19 ერთეული - დაბალი ღირებულების ფოთლოვნები (1 ზეხმელი)
- 1 ერთეული - დაბალი ღირებულების წიწვოვანი (ჯანსაღი)
- 8 ერთეული - მაღალი ღირებულების ფოთლოვნები (ყველა ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეები. 7 შეფასებული ერთეული წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს:
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 1332
- 6 თელა (Ulmus minor) NN 1280, 1288 (2), 1293 (3), 1294 (2), 1319, 1342

3. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 1 არაჯანსაღი (ზეხმელი) ერთეული, კერძოდ:
- კანადური ვერხვი (Populus deltoides) N 1283

4. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, არახილკენკროვან სახეობათა წარმომადგენელი 58 შეფასებული ერთეული შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - NN 1279-1282, 1284-1287, 1288 (2 ძირი), 1289-1290, 1291-1292, 1293 (3 ძირი), 1294 (2 ძირი), 1295-1298, 1299 (3 ძირი), 1300 (2 ძირი), 1301-1305, 1307 (2 ძირი), 1308-1309, 1310 (3 ძირი), 1311 (3 ძირი), 1312, 1313 (3 ძირი), 1314 (3 ძირი), 1316-1322, 1324-1332, 1333 (2 ძირი), 1335-1336, 1338-1343. მათგან, **9 ერთეულის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ-ზე მეტი:**
- 1 თეთრი ვერხვი (Populus alba) N 1338
- 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1285, 1327, 1328, 1331, 1341
- 1 შავი ფიჭვი (Pinus nigra) N 1335
- 2 თელა (Ulmus minor) NN 1319, 1342

მეტი დეტალისთვის იხილეთ:
- წინამდებარე დოკუმენტის 1-2 გვერდები;
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი:  ლევან გოშაძე (01008013049)

№2204-523 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.14.01.008.097

მისამართი:	თბილისი, ქუჩა ძოწის, N2
საკადასტრო კოდი:	01.14.01.008.097
ფართობი:	4179 მ^2
მესაკუთრე:	შპს “ჰორვატს” (ID № 405349154)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	03.03.2022
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

შენიშვნა:

- მცენარეთა ნუმერაცია იწყება N1279-ით, რადგან N1-დან N1278-ის ჩათვლით მცენარეები დაინომრა ერთიანი შეფასების ფარგლებში მოქცეულ სხვა ტერიტორიებზე.
- გრაფაში “რიგითი №“ მოცემულია მხოლოდ წინამდებარე ცხრილში რიგითი ნომერი და მას მცენარეთათვის მინიჭებულ ნომრებთან კავშირი არ აქვს.

რიგითი №	მც ენ.№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
			10 სმ	1.3 მ		
1	1279	იფანი (Fraxinus excelsior)	8.9	5.7	3.5	საღი/ გადარგვადი
2	1280	თელა (Ulmus minor)	8.0	4.8	3.0	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
3	1281	კელრეუტერია (Koelreuteria paniculata)	5.4	3.8	2.5	საღი/ გადარგვადი
4	1282	იფანი (Fraxinus excelsior)	2.9	1.3	1.5	საღი/ გადარგვადი
5	1283	ვერხვი (Populus deltoides)	9.6	4.8	2.5	ზეხმელი/ მრავალღეროიანი
6	1284	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
7	1285	ვერხვი (Populus deltoides)	57	29	12.5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
8	1286	ვერხვი (Populus deltoides)	19.1	14.3	9.5	საღი/ ორკაპი/ გადარგვადი
9	1287	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
10	1288	თელა (Ulmus minor)	0-4		1.5	საღი/ წით. ნუსხა/ 2 ძირი/ გადარგვადი
11	1289	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		3.0	საღი/ გადარგვადი
12	1290	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
13	1291	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.0	საღი/ გადარგვადი
14	1292	იფანი (Fraxinus excelsior)	3.8	2.9	1.5	საღი/ გადარგვადი
15	1293	თელა (Ulmus minor)	0-4		1.5	საღი/ წით. ნუსხა/ 3 ძირი/ გადარგვადი
16	1294	თელა (Ulmus minor)	0-4		1.5	საღი/ წით. ნუსხა/ 2 ძირი/ გადარგვადი
17	1295	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		3.0	საღი/ გადარგვადი
18	1296	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.5	საღი/ გადარგვადი
19	1297	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.5	საღი/ გადარგვადი
20	1298	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ წაქცეული/ გადარგვადი
21	1299	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი
22	1300	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ 2 ძირი/ გადარგვადი
23	1301	იფანი (Fraxinus excelsior)	5.4	4.1	3.0	საღი/ გადარგვადი
24	1302	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
25	1303	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
26	1304	ვერხვი (Populus deltoides)	21.3	9.6	7.5	საღი/ ფესვზე ამონაყარი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
27	1305	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
28	1306	ნუში (Prunus amygdalus)	9.6	6.4	3.5	საღი/ ხილკენკრ.
29	1307	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ 2 ძირი/ გადარგვადი
30	1308	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
31	1309	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
22	1310	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი
33	1311	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი

34	1312	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.5	საღი/ გადარგვადი
35	1313	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი
36	1314	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი
37	1315	ბროწეული (Punica granatum)	4-8		3.0	საღი/ ხილკენკრ.
38	1316	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
39	1317	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.5	საღი/ გადარგვადი
40	1318	გრაკლა (Spiraea hypericifolia)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
41	1319	თელა (Ulmus minor)	25.5	12.7	5.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
42	1320	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
43	1321	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ წაქცეული/ გადარგვადი
44	1322	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.5	საღი/ გადარგვადი
45	1323	ალუბალი (Prunus cerasus)	9.6	5.7	3.5	საღი/ ხილკენკრ.
46	1324	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
47	1325	აკაკი (Celtis caucasica)	15.9	9.6	4.0	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
48	1326	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
49	1327	ვერხვი (Populus deltoides)	51	37	10.5	საღი/ გადარგვადი
50	1328	ვერხვი (Populus deltoides)	28	23.9	9.5	საღი/ ორკაპი/ გადარგვადი
51	1329	ვერხვი (Populus deltoides)	23.9	19.7	8.5	საღი/ ორკაპი/ გადარგვადი
52	1330	ვერხვი (Populus deltoides)	23.9	19.1	8.0	საღი/ ორკაპი/ გადარგვადი
53	1331	ვერხვი (Populus deltoides)	32	28	9.5	საღი/ გადარგვადი
54	1332	კაკლის ხე (Juglans regia)	18.8	9.6	5.0	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
55	1333	ვერხვი (Populus deltoides)	0-4		1.5	საღი/ 2 ძირი/ გადარგვადი
56	1334	ბალამწარა (Prunus cerasus)	19.1	9.6	5.5	საღი/ ხილკენკრ.
57	1335	ფიჭვი (Pinus nigra)	32	25.5	7.0	საღი/ გადარგვადი
58	1336	ძეძვი (Paliurus spina-christi)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
59	1337	ალუბალი (Prunus cerasus)	4-8		2.5	საღი/ ხილკენკრ.
60	1338	ვერხვი (Populus alba)	64	41	12.5	საღი/ ორკაპი/ გადარგვადი
61	1339	იალღუნი - ხე (Tamarix ramosissima)	22.9	20.7	6.5	საღი/ ხე/ გადარგვადი
62	1340	იფანი (Fraxinus excelsior)	12.7	8.6	5.5	საღი/ გადარგვადი
63	1341	ვერხვი (Populus deltoides)	57	51	15.5	საღი/ გადარგვადი
64	1342	თელა (Ulmus minor)	41	21.3	8.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი

ლევან გოშაძე *ექსპერტი;*

ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ*

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია - ნაკვ. 01.14.01.008.097























































































1321




1323




1325


1324


1322


1328





